დანართი

ესეების კონკურსი „ჩემი კულტურა და ტრადიცია“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ესეების კონკურსს „ჩემი კულტურა და ტრადიცია“

ესეების კონკურსის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“ მონაწილეების შერჩევა.
კონკურსის პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 2014-2015 აკადემიური წლის მდგომარეობით, საქართველოს რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე - ჯავახეთი) არაქართულენოვანი სკოლების/ სექტორების მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეებს;
- კონკურსი ტარდება ერთ ეტაპად;
- კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ესე თემაზე **„ ჩემი კულტურა და ტრადიცია“.** საკონკურსო თემა უნდა მოიცავდეს 150-დან 400-მდე სიტყვას;
- დასაშვებია ავტორის მიერ ესეს ილუსტრირება;
- ესეს ბოლოს მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, კლასი, სკოლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს სკოლებიდან მიღებულ საკონკურსო ნაშრომებს და გამოავლენს 80 ნაშრომს, რომელთაგან 50 გამარჯვებული ნაშრომის ავტორი მონაწილეობას მიიღებს ზემო აღნიშნულ საზაფხულო სკოლაში, (დანარჩენი 30 - იქნება სარეზერვო ჯგუფში). გარდა ამისა, ყველა მოსწავლე დაჯილდოვდება სიგელებით.

საკონკურსო მასალის წარმოდგენის პირობები და ვადები:

- **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათი მოსწავლეების ნამუშევრების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრებისთვის მიწოდება- არაუგვიანეს 2015 წლის 29 მაისისა;**
- რესურსცენტრებიდან ნამუშევრების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გადმოგზავნა - არაუგვიანეს 2015 წლის 2 ივნისისა;
- კომისია გამარჯვებულ მოსწავლეებს გამოავლენს - არაუგვიანეს 2015 წლის 10 ივნისისა;

ესეების შეფასების კრიტერიუმები:

- ქართულ ენაზე საკუთარი კულტურისა და ტრადიციის გადმოცემის /გაცნობის უნარი;
- საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურისა და ტრადიციების მიმართ საკუთარი პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვის უნარი;